

შეთანხმება №1

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული №0300/30/102

ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ)

ქ. თბილისი

2020 წ.

ერთი მხრივ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი დირექტორის ავტობუსების ექსპლუატაციის საკითხებში - პაატა ბუჭანიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2016 წლის 27 სექტემბრის №205 ბრძანებისა და გენერალური დირექტორის 2018 წლის 14 თებერვლის №28 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, სს „ელექტრომობილური შემადგენლობის სარემონტო ქარხანა თბილისის ფილიალი“ (იურიდიული მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, წყალსადენის ქ., N55) წარმოდგენილი დირექტორის - გელა ძიძიკაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შეტრის მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაციის მომსახურების (NAT200006847) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/6202886788) და სს „ელექტრომობილური შემადგენლობის სარემონტო ქარხანა თბილისის ფილიალი“-ს (ს/6209450137) შორის 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული №0300/30/102 ხელშეკრულების მე-10 მუხლის გათვალისწინებით, დირექტორატის 2020 წლის 15 ივნისის №44 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

იმის გათვალისწინებით რომ,

- სს "ელექტრომობილური შემადგენლობის სარემონტო ქარხანა თბილისის ფილიალის" დირექტორი 2020 წლის 29 მაისის №60/0100 წერილში (კომპანიაში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 29.05.2020 №3787/01) აფიქსირებს:
 - კორონა ვირუსის COVID-19-ის ეპიდემიის გავრცელების და მასიური კარანტინის გამო ფაქტობრივად შეჩერებული აქვთ საქმიანობა ჩვენს მიმწოდებლებს, რის გამოც სიტუაციის შედარებით ნორმალიზებამდე შეუძლებელი ხდება მაკომპლექტებელი და მარაგ-ნაწილების შესყიდვა-შემოტანა და სატენდერო ვადების დაცვა და ითხოვს მომსახურების განვივის ვადის გაზრდას 2 (ორი) თვით.
- მომსახურების განვივის ვადის გაზრდა იწვევს როგორც ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის, ასევე სააგანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ცვლილებას, ვინაიდან მათი მოქმედების ვადა განსაზღვრულია: ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის - 2021 წლის 02 მარტის ჩათვლით, ხოლო სააგანსო საბანკო გარანტიის - 2020 წლის 31 მარტი.

მხარეები, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული №0300/30/102 ხელშეკრულების 4.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4.1 მიმწოდებელი მომსახურების განევას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.“
2. შევიდეს ცვლილება 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული №0300/30/102 ხელშეკრულების 17.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „17.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 01 აპრილის ჩათვლით (გარდა ამ ხელშეკრულების მე-6, მე-8 და 12.4 პუნქტებისა).“
3. მიმწოდებელმა წინამდებარე შეთანხმების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების წარმოდგენა (როგორც ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის, ასევე სააგანსო საბანკო გარანტიები), რომელთა მოქმედების უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:
 - 3.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია - არ უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ნაკლები;
 - 3.2 სააგანსო საბანკო გარანტია - უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.
4. წინამდებარე შეთანხმების მე-3 პუნქტის შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე შეთანხმებამდე არსებული პირობების ამოქმედებას, შესაბამისად, ავტომატურ რეჟიმში გაუქმდება აღნიშნული შეთანხმება და მხარეები იმოქმედებენ 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული №0300/30/102 ხელშეკრულების შესაბამისად.
5. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.
6. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული №0300/30/102 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

პაატა ბუჭანიშვილი
დირექტორი ავტობუსების ექსპლუატაციის საკითხებში

„მიმწოდებელი“
სს "ელექტრომობილური შემადგენლობის სარემონტო ქარხანა თბილისის ფილიალი"

გელა ძიძიკაშვილი
დირექტორი